



ძვირფასო DWV-ს წევრებო და მეგობრებო,

ჩვენს ქართულენოვან ბიზნეს-ბიულეტენში ჩვენ თქვენთვის კვლავ შევაჯამეთ სიახლეები DWV-სა და მისი წევრი კომპანიების/პარტნიორების, ჩატარებული და დაგეგმილი ღონისძიებების, წევრების ექსკლუზიური შეთავაზებებისა და მნიშვნელოვანი ბიზნეს სიახლეების შესახებ. ბიულეტენის ბოლოს იხილავთ საპეციალურ შეთავაზებებს ჩვენი მკითხველებისთვის.

მარტში DWV-ს წევრების რიგებს სამი კომპანია შეემატა, რომელთაც სიამოვნებით წარმოგიდგინთ



December32 არის ინოვაციური კომპანია, რომელიც მიზნად ისახავს ახალი ბიზნეს შესაძლებლობების და ტექნოლოგიების იდენტიფიცირებასა და მათი პრაქტიკაში დანერგვის ხელშეწყობას. [December32](#) მჭიდროდ თანამშრომლობს ევროპულ პარტნიორებთან კვლევისა და განვითარების პროექტებზე. კომპანიის საქმიანობა ასევე მოიცავს ბაზრის შესწავლას, დაინტერესებულ მხარეთა მენეჯმენტს და პროდუქტებისა და სერვისების განვითარებას. დამფუძნებლები, ჯულია შვარცი და მაილს ლალორი, რომლებიც ფლობენ მრავალწლიან საერთაშორისო გამოცდილებას, მიზნად ისახავენ საქართველოში თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით ინოვაციური ეკოსისტემის ჩამოყალიბებასა და ამ პროცესში ადგილობრივი ინდუსტრიის, მთავრობისა და მეცნიერების გლობალურ ბაზართან დაკავშირებას.



პარაგრაფი საქართველოში პირველი ძვირადღირებული კოლექციური სასტუმროა თბილისის ცენტრში. სასტუმრო გთავაზობთ ხუთ უნიკალურ რესტორანსა და ლაუნჯს, მდიდრულ სპა-ს, რომელიც მოიცავს სამ სართულს, საიდანაც ქალაქის

თვალწარმტაცი ხედი იშლება. [პარაგრაფი](#) აერთიანებს 220 სასტუმრო ოთახს ტრადიციული ქართული დიზაინის მახასიათებლებით, ღვინის მაცივრებით, ფართო სველი წერტილებითა და მდიდრული კეთილმოწყობილი ოთახებით; სასტუმროს აქვს ოთახების 8 კატეგორია, ორი სამეკლისო და ექვსი საკონფერენციო სივრცე, მათ შორის ყველაზე დიდი სამეკლისო დარბაზი 700-მდე სტუმარს იტევს.



Swissotel Tbilisi გთავაზობთ იდეალურ გარემოს საქმიანი შეხვედრებისა და დამსვენებლისთვის. 130 კეთილმოწყობილი ოთახით, რომელიც მოიცავს როგორც სტანდარტულ ასევე ლუქს ნომრებს, [სასტუმრო](#) ორიენტირებულია ინდივიდუალურ მომსახურებასა და კომფორტის უმაღლეს ხარისხზე. ოთხი საკონფერენციო დარბაზი ხელმისაწვდომია საქმიანი და კერძო ღონისძიებებისთვის. ველნესის შეთავაზება მოიცავს სპა ფიტნეს ცენტრს, აუზს, საუნას, მარილის ოთახსა და ჰამამს. Swiss Café გთავაზობთ საკონდიტრო ნაწარმის ფართო არჩევანს. რესტორან Olive's-ში დააგემოვნებთ ხმელთაშუა ზღვის სამზარეულოს, ხოლო ATMOSPHERE რესტორანსა და ბარში აზიური კერძების მრავალსახეობა, საფირმო კოქტეილები და ქალაქის შთამბეჭდავი ხედი დაგხვდებათ.

DWV-ში განუვრიანება შესანიშნავი ინსტრუმენტია გერმანულ და ქართულ კომპანიებს შორის ორმხრივი ეკონომიკური გაცვლისთვის

მეტი წევრობის შესახებ

დაგეგმილი ღონისძიებები

10 აპრილი 2024 | სასტუმრო პულმან თბილისი აქსის თაუერსი
[DWV-ტრენინგი: სოციალური მედია და სამართალი პრაქტიკაში](#)

16. - 18. აპრილი 2024 | BPN Georgia
[DWV-Training: კონფლიქტის მენეჯმენტი](#)

17 აპრილი 2024 | Swiss Café
[DWV-Get Together](#)

18 აპრილი 2024 | სასტუმრო Tbilisi Philharmonic by Mercure -ის რესტორანი MUSE
[Steak Night](#)

23 აპრილი 2024 | ProCredit Bank
[DWV-Expert Talk: ბრენდის დაცვის სტრატეგია](#)

გინვეთ სტეიკის საღამოზე 18 აპრილს, 19:00 საათზე, სასტუმრო Tbilisi Philharmonic by Mercure -ის რესტორანში MUSE. ადგილზე დაგხვდებათ მადისალმძკრელი, გამორჩეული სტეიკის მინიუ დახვეწილი ღვინის განსაკუთრებული არჩევანითა და

დესერტით. DWV თავის წევრებს ამ კულინარიულ თავგადასავალს და ნეთვორქინგის შესაძლებლობას ექსკლუზიურ ფასად სთავაზობს.



MUSE

Steak Night

an unforgettable dining experience at MUSE Restaurant's Steak Event on April 18th at 19:00!

160 GEL including VAT for Signature Selection of Starter Dishes, Steak & Wine

180 GEL including VAT for Signature Selection of Starter Dishes, Steak, Wine & Dessert

Only for our Members

MUSE Restaurant
Tbilisi Philharmonic by Mercure hotel
10 Petre Melikishvili St
+995 577 018 222



ჩატარებული ღონისძიებები



2024 წლის თებერვალში DWV-მ ორგანიზება გაუწია ბიზნეს ფორუმს, 2 სემინარს, წევრთა გენერალურ ასამბლეასა და ტრადიციულ Get Together ღონისძიებას.

- 6 მარტს გერმანიის ეკონომიკურმა გაერთიანებამ თავისი წევრებისთვის გამართა **ბიზნეს ფორუმი თემაზე „შუა დერეფანი“**. ფორუმზე მოხსენება გააკეთეს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილემ ბ-ნმა გურამ გურამიშვილმა და ლოგისტიკის განვითარების პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსის მოადგილემ ქ-ნმა ალექსანდრა სულაძემ. მომხსენებლებმა ვრცლად ისაუბრეს ტრანსკასპიური საერთაშორისო სატრანსპორტო გზის მნიშვნელობასა და მისი განვითარების პერსპექტივებზე საქართველოში და უპასუხეს მონაწილეების შეკითხვებს.

- 12 მარტს გაიმართა გერმანიის ეკონომიკური გაერთიანებისა და უნივერსიტეტ "ალტერბრიჯი"-ს ერთობლივი **ტრენინგი** თემაზე **“დროის მენეჯმენტი. როგორ ვმართოთ დრო რაციონალურად?”** ტრენინგზე განხილულ იქნა დროის

მენეჯმენტის ტექნიკები. მონაწილეებმა შეასრულეს პრაქტიკული სავარჯიშოები. სემინარის ბოლოს გაიმართა საინტერესო დისკუსია მომხსენებელს ქ-ნ მაკო ჯაოშვილსა და მონაწილეებს შორის.



- მარტის თვის ტრადიციული Get Together ღონისძიება გაიმართა 20 მარტს კაფეში "ივერია", რომელმაც სტუმრებს გემრიელი წასახემსებლის ფართო არჩევანით უმასპინძლა.

- 20-22 მარტს გაიმართა გერმანიის ეკონომიკური გაერთიანებისა და BPN Georgia-ს ერთობლივი 3 დღიანი **ტრენინგი "ფინანსები- კომპანიის წარმატების ფაქტორი"**, რომელსაც უძღვებოდა დანიელ მათერი, „BPN Georgia“-ს დირექტორი. ტრენინგზე მონაწილეებმა მიიღეს ცოდნა კომპანიის ფინანსების მენეჯმენტისა და კონტროლის მიმართულებით, სიღრმისეულად გაიაზრეს ფინანსური მართვის ამოცანები და გაეცნენ ფინანსური რისკების შემცირების გზებს.

- 28 მარტს გერმანიის ეკონომიკურმა გაერთიანებამ წარმატებით ჩაატარა **წევრთა გენერალური ასამბლეა**. ღონისძიება შესანიშნავი შესაძლებლობა იყო DWV-ს საქმიანობის განვითარებისა და სამომავლო გეგმების წარსადგენად. სხვა საკითხებთან ერთად, საბჭომ 2024 წლის წლიური გეგმა წარადგინა, რაც ყველა წევრის მიერ ერთხმად იქნა დამტკიცებული. განსაკუთრებით სასიამოვნოა, რომ წევრებმა ერთხმად მოინდონეს მმართველი საბჭოს 2023 წლის საქმიანობა.

ეკონომიკის სიახლეები

ეკონომიკა 2023 წლის მე-4 კვარტალში გაიზარდა

გასული წლის მე-4 კვარტალში საქართველოს ბიზნეს სექტორმა განიცადა შთამბეჭდავი 9,1%-ით ზრდა და ჯამში 56,4 მილიარდი ლარი შეადგინა. ეს პოზიტიური განვითარება აისახება ეკონომიკის სხვადასხვა სექტორებზე, რომელთაგან ლიდერობს ვაჭრობის სექტორი, რომელიც მთლიანი გაყიდვების 37,6%-ს, ზრდა კი 5,5% შეადგენს. ხელოვნების, გართობისა და დასვენების სექტორში დაფიქსირდა 16.6%-იანი ზრდა, რასაც მოჰყვა წარმოება, მშენებლობა და ტრანსპორტი და სხვ.

ბაქოში მწვანე ენერჯეტიკის განვითარების ოთხმხრივი მინისტრიალი გაიმართა

საქართველოს, აზერბაიჯანის, რუმინეთის და უნგრეთის მთავრობათა წარმომადგენლებმა ბაქოში შავი ზღვის წყალქვეშა კაბელის პროექტის მიმდინარეობა და ერთობლივი კომპანიის დაფუძნების დეტალები განიხილეს. ქართული მხრიდან მინისტრიალს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი ლევან დავითაშვილი ესწრებოდა. მინისტრიალზე ხაზი გაესვა პროექტის ეკონომიკური და ტრანსფორმაციული ეფექტს და აღინიშნა, რომ ევროპის

ელექტროენერჯის ბაზრებზე წვდომა დადებითად აისახება ქართულ ბაზარზე, მის ტრანსფორმაციასა და ევროპულთან დაახლოებაზე.

[გაეცანით სიახლეებს დეტალურად.](#)

შეთავაზებები ჩვენი მკითხველებისთვის

OHM ENERGY SOLUTIONS

- 5-year Generation Guarantee
- Quality Management - TUV/SGS
- Extended Guarantee - 25/30 years
- Liability Reinsurance ARIEL RE
- Certified Components
- 5 years Maintenance and Operation Service

ohmenergy.ge
032 2 800 033
info@ohmenergy.ge

SPECIAL OFFER FOR YOUR BUSINESS!
FINANCING OF SOLAR POWER PLANT

პროკრედიტ ბანკი ProCredit Bank

- Loan Disbursement Fee 0%
- Only Panels and Inverters are Considered as Collateral
- The Grace Period is 4 months
- Bank's Technical Support

Interest Co-financing NBG Refinancing rate minus 5%

Guarantee up to 80% of the Loan Amount

Grant 15%

Cashback 10%

Loan interest Co-financing 11%

ENTERPRISE GEORGIA

ELABUSINESS EBRO Credit Line

Rural Development Agency

ProCreditBank.ge 032 2 20 22 22 geo.info@procredit-group.com

BUSINESS

Monday through Friday

12:00 - 16:00

MENU OPTIONS

Starter + Main Dish

30
GEL

45
GEL

Starter, Main Dish
+ Dessert

LOCATION OPTIONS


**Tbilisi Saburtalo
Hotel by Mercure**

15 A. Kazbegi Avenue
0160 Tbilisi, Georgia

 (+995) 32 244 11 11

**Tbilisi Philharmonic
Hotel by Mercure**

10 P. Melikishvili Avenue
0179 Tbilisi, Georgia

 (+995) 32 244 77 77




TBILISI SABURTAALO HOTEL
BY MERCURE


TBILISI PHILHARMONIC HOTEL
BY MERCURE

იცოდით, რომ...

გერმანიის ეკონომიკური გაერთიანება ქართულ კომპანიებს გერმანულ ბაზარზე შესვლაში ეხმარება? ჩვენ მზად ვართ, მოგანოდოთ ყველა ამომწურავი, თქვენს ინდივიდუალურ საჭიროებებსა და სურვილებზე მორგებული სერვისი.

- ბაზრის კვლევა
- მისამართების მოძიება
- ბიზნეს პარტნიორის მოძიება
- ბიზნეს მეილინგი



გერმანიის ეკონომიკური გაერთიანება

რუსთაველის გამზ. 24, 0108 თბილისი

ტელ.: +995 32 220 57 67

ელ-ფოსტა info@dww.ge

www.dww.ge

თუ არ გსურთ ჩვენგან ბიზნეს ბიულეტენის მიღება,
დააჭირეთ ქვემოთ მითითებულ ბმულზე.

[გამწერის გაუქმება](#)